**პროექტი**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №**

**2025 წლის _____ ივლისი, ქ. ბათუმი**

**ქალაქ ბათუმის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტის გეგმების მონახაზების (კონცეფციის) დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 28-33-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ 2021 წლის 16 აგვისტოს N88 ხელშეკრულების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

**1**. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტის გეგმების მონახაზები (კონცეფცია), თანახმად დანართისა.

**2**. განემარტოს ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“, რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის ეტაპზე გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) საპროექტო დოკუმენტაციაში აისახოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განაშენიანების დეტალური გეგმები;

ბ) საპროექტო დოკუმენტაციაში აისახოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების საფუძველზე შეთანხმებული ობიექტები;

გ) გენერალურ გეგმაში აისახოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ფუნქციური ზონებისა და საპროექტო გზების ცვლილებები;

დ) დოკუმენტში აისახოს ბათუმის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც გრაფიკულ, ასევე ტექსტურ ნაწილებში;

ე) სრულყოფილი ლანდშაფტის დაცვის გეგმა;

ვ) სრულყოფილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 12 დეკემბრის N01-01-10/10320 წერილით გადმოგზავნილი მოსაზრება ქალაქ ბათუმის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის კონცეფციის შესახებ.

**3**. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**4** . განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ირაკლი თავდგირიძე**

# განმარტებითი ბარათი
# პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტის გეგმების მონახაზების (კონცეფციის) თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტის გეგმების მონახაზების (კონცეფციის) დამტკიცება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ ,,სითი ინსტიტუტი საქართველოს'' შორის 2021 წლის 16 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება N88 ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'', რომლითაც ა(ა)იპ ,,სითი ინსტიტუტი საქართველოს'' დაევალა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დაგეგმვა და სათანადო შედეგების, შუალედური და საბოლოო დოკუმენტების სახით მიწოდება.

,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ '' 2021 წლის 16 აგვისტოს N88 ხელშეკრულების შესაბამისად; ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2495700.00 დღგ-ს ჩათვლით.

ა(ა)იპ ,,სითი ინსტიტუტი საქართველოს'' მიერ ნაწარმოებია ხელშეკრულებით გათვალისიწნებული კვლევები; სულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა შემდეგი ეტაპები მიღება: გეგმარებითი ერთეულის კვლევა; ტერიტორიების განვითარების შეზღუდვის დოკუმენტი; წამახალისებელი ზონირების გამოყენების შესაძლებლობის კვლევა; დაგეგმვის საინფორმაციო სისტემის შედგენის და წარმოების წესის შემუშავებისათვის საჭირო კვლევა; ფუნქციის დივერსიფიკაციის კვლევა; განვითარების ხედვა, სტრატეგია და სიცოცხლისუნარიანობის შეფასება; ხედვა, სტრატეგია და ინდიკატორების სისტემა; გეგმების მონახაზების (კონცეფციის) შეჯერებული ვერსია .

ამ ეტაპზე წარმოდგენილია გეგმების მონახაზების (კონცეფციის ) შეჯერებული ვერსია, აღნიშნული ეტაპი გადაგზავნილი იქნა კანონმდებლობით გათვალისიწნებულ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, საიდანაც მოვიდა პასუხები.

წარმოდგენილი კონცეფციის მიმართ უნდა გაიცეს რეკომენდაციები, რომლებიც სითი ინსტიტუტი საქართველომ უნდა შეასრულოს გეგმის/პროექტის ეტაპზე და იგი ვალდებულია ეს რეკომენდაციები ასახოს გეგმაში.

დადგენილი რეკომდაციებია:

ა) საპროექტო დოკუმენტაციაში აისახოს ბათუმის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განაშენიანების დეტალური გეგმები.

ბ) საპროექტო დოკუმენტაციაში აისახოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების საფუძველზე შეთანხმებული ობიექტები.

გ) გენერალურ გეგმაში აისახოს ბათუმის საკრებულოს მიერ მიღებული ფუნქციური ზონებისა და საპროექტო გზების ცვლილებები.

დ) დოკუმენტში აისახოს ბათუმის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც გრაფიკულ ასევე ტექსტურ ნაწილებში;

ე) სრულყოფილი ლანდშაფტის დაცვის გეგმა.

ვ) სრულყოფილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა.

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 12 დეკემბრის N01-01-10/10320 წერილით გადმოგზავნილი მოსაზრება ქალაქ ბათუმის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის კონცეფციის შესახებ .

წარმოდგენილი ეტაპი გამოქვეყნებული იყო კანონით დადგენილი წესით; მასთან დაკავშირებით იმსჯელა ქალაქ ბათუმის მერიაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა; ასევე ჩატარდა საჯარო განხილვა, საჯარო განხილვის ჩატარებიდან დაინტერესებულ პირებს მიეცათ 15 სამუშაო დღის ვადა მოსაზრებების წარმოდგენისათვის.

**ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:**

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

**ე) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ)** განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**
**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**
**პოლიტიკის სამსახურის უფროსი** **გიორგი წანაწყენიშვილი**